

შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....	14
6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	15
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
8. მარაგები	15
9. ძირითადი საშუალებები	16
10. არამატერიალური აქტივები	16
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	16
12. სესხები	17
13. ფინანსური ინსტრუმენტები	17
14. ამონაგები	17
15. თვითღირებულება.....	17
16. გაყიდვის ხარჯები	18
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	18
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	19

შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	642874	550687
არამატერიალური აქტივები		
გრძელვადიანი ინვესტიციები		
სულ გრძელვადიანი აქტივები	642874	550687
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	363768	427555
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	754951	595330
სხვა მიმდინარე აქტივები		0
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	520720	1001023
სულ მიმდინარე აქტივები	1639439	2024908
სულ აქტივები	2282313	2574595
ვალდებულება და კაპიტალი		
გრძელვადიანი ვალდებულებები		0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	411700	234538
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	452597	791083
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	864297	1025621
სულ ვალდებულებები	864297	1025621
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	1417816	1548774
სარეზერვო კაპიტალი		
სულ კაპიტალი	1418016	1548974
სულ ვალდებულება და კაპიტალი	2282313	2574595

შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს

ფინანსური მენეჯერი ლ.მჭედლიძე



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „დაჩა-ჯორჯია“

ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2024	2023
შემოსავალი	8491836	9198788
რეალიზებული		
პროდუქციის/მომსახურების	-6258187	-6873930
თვითღირებულება		
საერთო მოგება	2233649	2324858
გაყიდვის ხარჯი	-	-
საერთო და ადმინისტრაციული		
ხარჯები	-925354	-904188
სხვა ხარჯი	-	-
საოპერაციო მოგება	1308295	1421536
ფინანსური შემოსავალი	1308295	1420670
ფინანსური ხარჯი	-	-
შემოსავალი კურსთაშორის		
სხვაობიდან	22095	11952
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-
პერიოდის მოგება	1330390	1433622
სხვა სრული შემოსავალი/ხარჯი		
სრული შემოსავალი	1330390	1433622
მოგების გადასახადი	199558	290471
წმინდა მოგება	1130832	1142151

შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს

ფინანსური მენეჯერი ლ.მჭედლიძე



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „დაჩა-ჯორჯია“

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
დებიტორებისგან მიღებული ფულადი სახსრები	145843	85613
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები სხვა		
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		
წმიდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	145843	85613
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები	-	-
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან	-648241	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
მიღებული პროცენტი		
მიღებული დივიდენდები	-	-
წმიდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან	-	-
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	-
დამფუძნებლების შემონატანის ზრდა		
დამფუძნებლების შემონატანის შემცირება	-	-
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმ. ვალდ-ის გადახდა	-	-
სესხის გაცემა	-	-
გაცემული სესხის დაბრუნება	-	-
სესხის ძირის გადახდა		
სესხის პროცენტის გადახდა		
დივიდენდების გადახდა		
წმიდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-502398	0
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი	22095	11952
წმიდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	1001023	903458
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	520720	1001023

შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს

ფინანსური მენეჯერი ლ.მჭედლიძე



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „დაჩა-ჯორჯია“

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	სულ
1 იანვარი, 2023	200	1028774		1028974
მოგება წლის განმავლობაში	-	1143017		1143017
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-			
რეზერვების ზრდა/შემცირება	-			
მოგების განაწილება	-	-1646315		-1646315
31 დეკემბერი, 2023	200	525476		525676
მოგება წლის განმავლობაში	-	1130832		1130832
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-			
რეზერვების ზრდა/შემცირება	-			
მოგების განაწილება	-	-1081684		-1081684
31 დეკემბერი, 2024	200	574624		574824

შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს

ფინანსური მენეჯერი ლ.მჭედლიძე



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დაჩა-ჯორჯია“ შეიქმნა 2006 წელს. იგი საქართველოს გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია 2006 წლის 09 იანვრიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმითა და საფირმო სახელწოდებით შპს „დაჩა-ჯორჯია“, რომელსაც ამავე თარიღიდან მიენიჭა გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი **205158434**. გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო რეესტრის და სადამფუძნებლო დოკუმენტების მონაცემებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დაჩა-ჯორჯია“-ს დამფუძნებლები არიან (50%-იანი წილით) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი გიორგი მამულაშვილი (პირადი N01017003507) და (50%-იანი წილით) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ირაკლი ღამბაშიძე (პირადი N1024023892).

საზოგადოების დირექტორს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მამუკა სურმანიძე (პ/ნ 01025000740), ხოლო 2024 წლის 2 დეკემბრიდან საზოგადოების რირექტორად დაინიშნა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი მათილდა ბოლოკაძე (პ/ნ 01015008163). საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, იონა ვაკელის #2.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით, რომლის იმპორტსაც ახორციელებს საზღვარგარეთიდან, ხოლო შემდგომ საკუთარი საწყობიდან, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, ლორთქიფანიძე ქ. 42, ყიდის საქართველოში დილერებზე და დისტრიბუტორებზე, რომლებსაც შეაქვთ სხვადასხვა სარეალიზაციო და კვების ობიექტებში. ასევე შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს გააჩნია დაქირავებული რეგიონალური საწყობი, რომელიც განთავსებულია ქ. სამტრედიისში. აღნიშნული საწყობიდან ასევე დილერების და დისტრიბუტორების მეშვეობით მომარაგება ხდება დასავლეთ საქართველოში არსებული სარეალიზაციო და კვების ობიექტები.

საწესდებო კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი სადამფუძნებლო დოკუმენტებით განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით, რაც გათვალისწინებული იყო 2006 წელს მეწარმეთა შესახებ კანონით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი და კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 31 დეკემბერი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში. მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ყველა სავალდებულო გამონაკლისი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლას არსებითი გავლენა არ მოუხდენია საწარმოს საკუთარ კაპიტალზე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან-წმინდა“. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლო მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა-ნაგებობა	20-50
დანადგარები	5-20
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10



თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივებს წარმოადგენდა სარეკლამო ვიდეო რგოლი, ხოლო მისი აქტივად აღიარება შეწყდა 2021 წელს, რადგან მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმოო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

5. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას.



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში	519504	614009
ფული სალაროში	1216	387014
სულ	520720	1001023

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	754951	595330
საექვო ვალების რეზერვი		
სულ ფინანსური მოთხოვნები	754951	595330
სხვა გადახდილი ავანსები		
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
ავანსები პერსონალზე		
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0
სულ მოთხოვნები	0	0
საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას.		



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

8. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	363768	427555
ნედლეული და მასალები		
სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგები		
სულ:	363768	427555

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	ავეჯი და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
01.01.2023	410584	12306	11162	434052
შემოსვლა	186440			186440
გასვლა				0
რეკლასიფიკაცია	22529	1486	3125	27140
31.12.2023	574495	10820	8037	593352
შემოსვლა	185347	636		
გასვლა				
რეკლასიფიკაცია	28522	1215	2411	32148
31.12.2024	731320	10241	5626	747187
				-
წმინდა საბალანსო ღირებულება				-
31.12.2023	574495	10820	8037	593352
31.12.2024	731320	10241	5626	747187

10. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება	-
31.12.2023	0
31.12.2024	0

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
მიღებული ავანსები		
მომწ. წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი პროცენტები

სულ

12. სესხები

	31.12.2024	31.12.2023
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან	452597	791083
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	-
სულ მიმდინარე სესხები	452597	791083

13. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	754951	595330
ფული და ფულის ეკვივალენტები	520720	1001023
სულ ფინანსური აქტივები	1275671	1596353

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
სესხები და ფინანსური იჯარა	452597	791083
სულ ფინანსური ვალდებულებები	452597	791083

14. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	8491836	9198788
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
სულ	8491836	9198788



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

15. თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6258187	6873930
სულ	6258187	6873930

16. გაყიდვის ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯი	-	-
მიწოდების სხვა ხარჯები	-	-
სულ	-	-

კომპანიას 2019 და 2020 წელს გაყიდვის დანახარჯები არ გაუწევია.

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	722000	703500
საპენსიო შენატანი	0	0
მივლინების ხარჯი		
დაზღვევა	23100	19800
იურიდიული მომსახურება		
ცვეთა და ამორტიზაცია	32148	27140
საგადასახადო ხარჯი		
პროგრამული უზრინველყოფა		
სარეგისტრაციო მოსაკრებლები და ხარჯები		
ბანკის ხარჯი	5935	8080
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი		
აუდიტის ხარჯი		
კომუნალური მომსახურება	8867	27831
სხვა ხარჯი	74222	408307
სულ	866272	1194658



შპს დაჩა-ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

31.12.2020			
	დამფუძნებლები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-	-
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
სესხები			
შემოსავალი			
ხარჯები			
31.12.2023			
	დამფუძნებლები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-
საექვო ვალების რეზერვი	-	-	-
წმიდა სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-
სესხები	-	-	-
შემოსავალი	-	-	-
ხარჯები	-	-	-


19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომ მოითხოვდეს განმარტებით შენიშვნებს.

შპს „დაჩა-ჯორჯია“-ს

დირექტორი მათილდა ბოლოკაძე

ფინანსური მენეჯერი ლ.მჭედლიძე



ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	520720	1001023	903458
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	754951	595330	374715
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	35707
მარაგები	363768	427555	399284
მზა პროდუქცია	363768	427555	399284
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	642874	550687	434052
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2282313	2574595	2147216
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	32148	27140	24270
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	98989	162008	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	353608	629075	1000000
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	379552	207398	79305
სულ ვალდებულებები	864297	1025621	1103575
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1417816	1548774	1043441
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1418016	1548974	1043641
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2282313	2574595	2147216
სულ მოკლევადიანი აქტივები	1639439	2040545	1668627
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	452597	791083	1624270
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8491836	9198788
საქონლის გაყიდვიდან	8491836	9198788
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-6258187	-6873930
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2233649	2324858
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-745100	-723300
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-32148	-27140
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-59082	-51946
იჯარის ხარჯი	-30360	-32441
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-58664	-69361
სულ საოპერაციო ხარჯები	-925354	-904188
საოპერაციო მოგება	1308295	1420670
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	22095	11952
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1330390	1432622
მოგების გადასახადის ხარჯი	-199558	-290471
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1130832	1142151
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1130832	1142151
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1548974	1043641
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1081684	-1646316
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-180106	1009498
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1418016	1548974
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0



ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	145843	85613
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-648241	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-502398	85613
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	22095	11952
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1001023	903458
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	520720	1001023

